იტალია

CNA
COMMISSIONE NAZIONALE PER IL DIRITTO DI ASILO

euaa
EUROPEAN UNION AGENCY FOR ASYLUM

რა უნდა იცოდეთ ევროკავშირის თავშესაფრის სასაზღვრო პროცედურის შესახებ

GEORGIAN

თქვენ ახლა იმყოფებით იტალიაში, **რომელიც არის ევროკავშირი+ (EU+) ქვეყანა.**
EU+ ქვეყნებია:

ევროკავშირის (EU) 27 წევრი სახელმწიფო: ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, ხორვატია, კვიპროსი, ჩეხეთი, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, იტალია, ლატვია, ლიეტუვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, ირლანდიის რესპუბლიკა, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი და

4 სხვა ქვეყანა: ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია და შვეიცარია.

შინაარსი

რა არის საერთაშორისო დაცვა (თავშესაფარი)?	3
როგორია თავშესაფრის მიღების პროცედურა?	4
➢ როგორია თავშესაფრის სასაზღვრო პროცედურა?	6
➢ რამდენ ხანს გაგრძელდება ის?	7
➢ როდის და სად მოხდება თქვენი განაცხადის რეგისტრაცია და წარდგენა?	-
➢ რა მოხდება რეგისტრაციის და წარდგენის დროს?	-
➢ როგორია პროცედურა, თუ ბავშვებთან ან დამოკიდებულ ზრდასრულ პირთან ერთად ჩამოხვედით?	-
➢ რომელი ქვეყანა განიხილავს თქვენს განაცხადს?	-
➢ როგორ იქნება თქვენი განაცხადი განხილული?	-
➢ როგორ მოგეწოდებათ გადაწყვეტილება თქვენს საერთაშორისო დაცვის შესახებ განაცხადთან დაკავშირებით?	-
რა უფლებები გაქვთ?	-
რა ვალდებულებები გეკისრებათ?	-
რა შედეგები დადგება, თუ თქვენს ვალდებულებებს არ შეასრულებთ?	-
როგორ განიხილავენ უფლებამოსილი ორგანოები განსაკუთრებულ საჭიროებებს?	-
რა ხდება, თუ გსურთ მშობლიურ ქვეყანაში დაბრუნება?	-

რა არის საერთაშორისო დაცვა?

შესაძლოა, საერთაშორისო დაცვა დაგჭირდეთ, თუ დევნის შიშის ან სერიოზული ზიანის რეალური რისკის გამო თქვენს ქვეყანაში დაბრუნებას ვერ ახერხებთ. ეს, მაგალითად, ნიშნავს, რომ თქვენი სიცოცხლე ან თავისუფლება საფრთხეში იქნება და თქვენი ქვეყნის ხელისუფლება არ დაგიცავთ იმ საფრთხისგან, რომლის წინაშეც ხართ.

თქვენი უფლებაა, მოითხოვოთ საერთაშორისო დაცვა.

ევროპაში საერთაშორისო დაცვას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ფორმა: **ლტოლვილის სტატუსი** ან **დამატებითი დაცვა**.

საერთაშორისო დაცვას ასევე თავშესაფარი ეწოდება.

როგორია თავშესაფრის მიღების პროცედურა?

თავშესაფრის მიღების პროცედურის დროს, ხელისუფლება შეაფასებს, გჭირდებათ თუ არა საერთაშორისო დაცვა და, თუ ასეა, დაცვის რომელი ტიპია თქვენთვის შესაბამისი. პროცედურის დროს თქვენ გექნებათ შესაძლებლობა, მიუთითოთ ყველა მიზეზი, რის გამოც დატოვეთ თქვენი სახლი და წარმოშობის ქვეყანა. გულწრფელად აცნობეთ ოფიცრებს ყველა მიზეზი, რის გამოც დატოვეთ თქვენი ქვეყანა.

საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შემდეგ თქვენ საერთაშორისო დაცვის შესახებ განმცხადებლად ითვლებით.

ორგანოებთან გაზიარებული ინფორმაცია დარჩება სრულად კონფიდენციალური.
ეს ინფორმაცია არასდროს გაზიარდება იმ პირებთან, ვისგანაც დაცვას ითხოვთ.

თავშესაფრის მიღების პროცედურა მოიცავს შემდეგ ეტაპებს.



როგორია თავშესაფრის სასაზღვრო პროცედურა?

თავშესაფრის სასაზღვრო პროცედურა გულისხმობს, რომ თქვენი განაცხადის განხილვის დროს:

- თქვენ ვალდებული ხართ იცხოვროთ შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გამოყოფილ კონკრეტულ ადგილას
- თქვენ არ შეგეძლებათ იტალიის ტერიტორიაზე შესვლა ნებართვის გარეშე.

თუ ოჯახთან ერთად ჩამოხვედით, შესაძლოა, თქვენ განთავსდეთ თქვენს უშუალო ოჯახის წევრებთან (მეუღლე, პარტნიორი, არასრულწლოვანი შვილები და ზრდასრული, დამოკიდებულ შვილები) ერთად.

თავშესაფრის სასაზღვრო პროცედურა შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგ გარემოებებში:

- თქვენ არალეგალურად ჩახვედით და საერთაშორისო დაცვა მოითხოვეთ სასაზღვრო გამშვებ პუნქტში ან სატრანზიტო ზონაში

- თქვენ არალეგალურად გადაკვეთეთ საზღვარი

- თქვენ ზღვაზე გადაგარჩინეს

- თქვენ აქ გადმოგიყვანეს სხვა ევროკავშირი+ ქვეყნიდან.

თავშესაფრის სასაზღვრო პროცედურა გამოიყენება რამდენიმე მიზეზის გამო, მაგალითად, თუ:

- თქვენ შეგნებულად წარადგინეთ ყალბი ინფორმაცია ან დოკუმენტები, ან დამალეთ თქვენი ვინაობის ან მოქალაქეობის შესახებ შესაბამისი ინფორმაცია ან დოკუმენტები, ან გაანადგურეთ პირადობის ან სამგზავრო დოკუმენტი; ან
- თქვენ უსაფრთხოების რისკს წარმოადგენთ; ან
- თქვენი ქვეყნიდან საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის წარმდგენ ადამიანებს, როგორც წესი, არ ემუქრებათ დევნის ან სერიოზული ზიანის საფრთხე.

შეგიძლიათ უფლებამოსილ ორგანოს ჰკითხოთ, თუ რატომ იქნა გამოყენებული თავშესაფრის სასაზღვრო პროცედურა თქვენს შემთხვევაში.

რამდენ ხანს გაგრძელდება პროცედურა?

თავშესაფრის სასაზღვრო პროცედურა თქვენი განაცხადის რეგისტრაციიდან 12 კვირამდე გრძელდება. თუ თქვენ გადაგიყვანენ სხვა ევროკავშირი+ ქვეყანაში, პროცედურას შეიძლება 16 კვირამდე დასჭირდეს.

თუ ამ ვადაში გადაწყვეტილება არ მოგეცემათ, თქვენ უფლებას მოგცემენ, შეხვიდეთ იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც თქვენი განაცხადი განიხილება.

გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლოა, თქვენ მაინც არ მოგცენ ტერიტორიაზე შესვლისა და თავისუფლად გადაადგილების უფლება, მაშინაც კი, თუ გადაწყვეტილება 12 ან 16 კვირის განმავლობაში არ გადმოგეცათ. უფლებამოსილი ორგანოები შეგატყობინებენ და მოგცემენ შემდგომ განმარტებებს, გეხებათ თუ არა ეს თქვენ.

როდის და სად მოხდება თქვენი განაცხადის რეგისტრაცია და წარდგენა?

2026 წლის 31 ოქტომბრამდე თქვენი განაცხადი საერთაშორისო დაცვაზე დარეგისტრირდება და წარდგენილი იქნება პოლიციაში ან სასაზღვრო პოლიციის ორგანოებში, თქვენთვის ცნობილი იქნება განაცხადის წარდგენის ზუსტი დრო და თარიღი. ეს უნდა მოხდეს შექმნიდან ან სკრინინგის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 დღისა.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ თქვენ მიხვიდეთ ამ დანიშნულ შეხვედრაზე და წარადგინოთ თქვენი განაცხადი. თუ ვერ შეძლებთ თქვენი განაცხადის წარდგენას, თქვენი განაცხადი გაუქმებულად ჩაითვლება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს თქვენზე არ არის დამოკიდებული. ეს ნიშნავს, რომ თქვენ დაკარგავთ განმცხადებლის სტატუსს, მხარდაჭერისა და სერვისების მიღების უფლებას და ამ ქვეყანაში დარჩენის უფლებას.

რა მოხდება რეგისტრაციის და წარდგენის დროს?

აიღებენ თქვენი თითის ანაბეჭდებს.

თქვენს ფოტოს გადაიღებენ.

თქვენ მოგთხოვენ წარმოადგინოთ თქვენი პირადობის დამადასტურებელი ყველა დოკუმენტი, მგზავრობისა და სხვა შესაბამისი დოკუმენტები.

თქვენ მოგთხოვენ თქვენი პირადი მონაცემების მიწოდებას. ასევე გკითხავენ თქვენი ოჯახის ნებისმიერი წევრის შესახებ, რომლებიც ცხოვრობენ იტალიაში ან სხვა ევროკავშირი+ ქვეყანაში. დამატებითი ინფორმაცია შეგროვდება მაგალითად რომელ ენაზე გსურთ გასაუბრება ან სხვა სპეციფიკური მოთხოვნა

თქვენ მოგთხოვენ თქვენი საკონტაქტო ინფორმაციის (მისამართი, ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი) მიწოდებას.

შესაძლოა, თქვენ და თქვენს ნივთებს ჩხრეკა ჩაუტარდეს. თქვენი პირადი ნივთები თქვენს საკუთრებად რჩება და დაგიბრუნდებათ, გარდა იმ ნივთებისა, რომლებიც საშიშად ითვლება.

შესაძლოა, სამედიცინო შემოწმების გავლა დაგჭირდეთ.

თქვენ მოგთხოვენ წარმოადგინოთ ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაცია და დოკუმენტი თქვენი განაცხადის მხარდასაჭერად. ეს მოიცავს ინფორმაციას და დოკუმენტებს, რომლებიც ეხება შემდეგს:

- თქვენი მშობლიური ქვეყანა და ყველა ქვეყანა, სადაც გიცხოვრიათ
- ქვეყნიდან წასვლის მიზეზები და რატომ არ გსურთ დაბრუნება
- თქვენი და თქვენი ოჯახის ისტორია
- თქვენი მგზავრობის დეტალები ევროპაში და მის ფარგლებში
- საერთაშორისო დაცვის შესახებ ნებისმიერი წინა განაცხადი.

ამ ეტაპების თანმიმდევრობა შეიძლება განსხვავდებოდეს, მაგრამ ყველა განმცხადებელს ერთნაირად ეპყრობიან. შეგროვებული მონაცემები უსაფრთხოდ შეინახება ეროვნულ და ევროპულ მონაცემთა ბაზებში.

თქვენი ვალდებულებაა და თქვენს ინტერესებშია, თქვათ სიმართლე და ითანამშრომლოთ უფლებამოსილ ორგანოებთან.

[რეგისტრაციის შემდეგ, თქვენ მიიღებთ ოფიციალურ დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს, რომ თქვენი განაცხადი გაკეთებულია და რეგისტრირებულია.] მას შემდეგ რაც დაარეგისტრირებთ / წარადგენთ თქვენს განაცხადს, თქვენ მიიღებთ ოფიციალურ დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს, რომ თქვენ ხართ საერთაშორისო დაცვის შესახებ განმცხადებელი

ის მუდმივად თან უნდა ატაროთ.

როგორია პროცედურა, თუ ბავშვებთან ან დამოკიდებულ ზრდასრულ პირთან ერთად ჩამოხვედით?

თუ თქვენ ჩამოხვედით შემდეგ პირებთან ერთად:

- თქვენი 18 წლამდე ასაკის შვილები, ან
- 18 წლამდე ასაკის ბავშვები, რომლებზეც თქვენ კანონიერად ხართ პასუხისმგებელი

მათ ასევე უნდა მოითხოვონ საერთაშორისო დაცვა. ბავშვები თქვენთან ერთად უნდა გამოცხადდნენ უფლებამოსილ ორგანოებში.

თუ თქვენი შვილები 18 წლის ან უფროსი ასაკის არიან, მათ თავად უნდა წარადგინონ საკუთარი განაცხადი.

თუ თქვენ ხართ პასუხისმგებელი 18 წლის ან უფროსი ასაკის პირზე, რომელსაც აქვს შეზღუდული შესაძლებლობები, რაც ხელს უშლის მას გადაწყვეტილებების მიღებაში, შეგიძლიათ მიმართოთ საერთაშორისო დაცვას და წარადგინოთ განაცხადი მისი სახელით.

ეს პირი თქვენთან ერთად უნდა იმყოფებოდეს განაცხადის წარდგენის დროს.

რომელი ქვეყანა განიხილავს თქვენს განაცხადს?

თქვენ გარანტირებული ხართ, რომ ევროკავშირი+ ქვეყანა განიხილავს თქვენს განაცხადს საერთაშორისო დაცვის შესახებ. თქვენ არ შეგიძლიათ ქვეყნის არჩევა.

უფლებამოსილი ორგანოები მიჰყვებიან პროცედურას იმის გადასაწყვეტად, თუ რომელი ევროკავშირი+ ქვეყანაა პასუხისმგებელი თქვენს საერთაშორისო დაცვის შესახებ განაცხადზე. ამას პასუხისმგებლობის განსაზღვრის პროცედურა ეწოდება.

ამისთვის თქვენ უნდა აცნობოთ უფლებამოსილ ორგანოებს შემდეგი რამ.

- გყავთ თუ არა ოჯახის წევრი სხვა ევროკავშირი+ ქვეყანაში.
- წარსულში სხვა ევროკავშირი+ ქვეყანამ ხომ არ მოგცათ ვიზა ან ბინადრობის დოკუმენტი. (ვიზა გაძლევთ ქვეყანაში შესვლის უფლებას. ეს შეიძლება იყოს შტამპი თქვენს პასპორტში. ბინადრობის დოკუმენტი არის დოკუმენტი, რომელიც გაძლევთ ქვეყანაში დარჩენის უფლებას.)
- წინათ შესულხართ თუ არა სხვა ევროკავშირი+ ქვეყანაში.
- უკვე მოგითხოვიათ თუ არა საერთაშორისო დაცვა სხვა ევროკავშირი+ ქვეყანაში.
- სხვა ევროკავშირი+ ქვეყანამ ხომ არ გასცა თქვენზე განათლების დიპლომი ან კვალიფიკაცია.

თუ უფლებამოსილი ორგანოები ჩათვლიან, რომ თქვენი განაცხადის განხილვაზე პასუხისმგებელი შეიძლება სხვა ევროკავშირი+ ქვეყანა იყოს, თქვენ მიიღებთ უფრო დეტალურ ინფორმაციას ამ პროცედურისა და თქვენი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ.

დამატებითი ინფორმაციის მოძიება შეგიძლიათ ცალკე ბროშურაში «რა უნდა იცოდე მიგრაციისა და საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის წესდების შესახებ».

როგორ იქნება თქვენი განაცხადი განხილული?

დასაშვებობის განხილვა

ზოგიერთ შემთხვევაში, თქვენი განაცხადი წინასწარ განხილვას გაივლის.

ამ წინასწარ განხილვას დასაშვებობის შემოწმება ეწოდება და ის 2 თვემდე გრძელდება.

ეს ნიშნავს, რომ უფლებამოსილი ორგანოები თავდაპირველად განიხილავენ შემდეგ ხუთ კითხვას.

- უკვე მიიღეთ თუ არა საერთაშორისო დაცვა სხვა ევროკავშირი+ ქვეყანაში?
- უკვე მიიღეთ თუ არა საერთაშორისო დაცვა ევროკავშირის არაწევრ ქვეყანაში, სადაც უსაფრთხოდ იქნებით და სადაც შეგიძლიათ დაბრუნება?
- შესაძლებელია თუ არა თქვენი რეადმისია იმ ქვეყანაში, სადაც უსაფრთხოდ ხართ და სადაც შესაძლებელია თქვენი საერთაშორისო დაცვის შესახებ განაცხადის განხილვა?
- მოითხოვეთ თუ არა საერთაშორისო დაცვა დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 7 დღეზე მეტი ხნის შემდეგ?
- უზრუნველყო თუ არა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლომ ან ტრიბუნალმა თქვენი სხვა ქვეყანაში უსაფრთხო გადაყვანა, ან არის თუ არა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო ან ტრიბუნალი ამის განხორციელების პროცესში?
- ხელახლა მიმართეთ საერთაშორისო დაცვის შესახებ მას შემდეგ, რაც თქვენი განაცხადი უარყოფილი იქნა ახალი ელემენტების წარდგენის გარეშე? ახალი ელემენტები შეიძლება იყოს ახალი ფაქტები ან მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებს, რომ თქვენ გჭირდებათ საერთაშორისო დაცვა.

შესაძლოა, ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად გასაუბრებაზე მიგიწვიონ. ამას ეწოდება **გასაუბრება დასაშვებობის შესახებ**. ამ ინტერვიუს დროს შეიძლება ასევე გკითხონ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის მიზეზების შესახებ და იმის შესახებ, თუ რატომ არ გსურთ თქვენს ქვეყანაში დაბრუნება.

ზემოთ მოცემულ კითხვებთან დაკავშირებით თქვენი გარემოებებიდან გამომდინარე:

- შესაძლოა თქვენი განაცხადი უარყოფილ იქნეს, ან
- პროცედურა გაგრძელდება და უფლებამოსილი ორგანოები განიხილავენ, გჭირდებათ თუ არა საერთაშორისო დაცვა.

ტერირორიული კომისია რომელიც არის საერთაშორისო დაცვის მოთხოვნაზე პასუხისმგებელი ორგანო გაცნობებთ, გეხებათ თუ არა დასაშვებობის შემოწმება და მოგაწვდით დამატებით განმარტებებს.

როგორ იქნება თქვენი განაცხადი განხილული?

თქვენი განაცხადის განხილვა

უფლებამოსილი ორგანოები განიხილავენ, გჭირდებათ თუ არა საერთაშორისო დაცვა.

თქვენ მიგიწვევენ **პირად გასაუბრებაზე**.

მოწვევას მიიღებთ ფოსტით / ელექტრონული ფოსტით / წარდგენის შემდეგ / ელექტრონული ანგარიშით / პირადად.

გასაუბრება ჩატარდება პირადად ან, გამონაკლის შემთხვევებში, დისტანციურად.

გასაუბრება ჩაიწერება აუდიოს სახით.

გასაუბრება გაძლევთ შესაძლებლობას, დეტალურად წარმოადგინოთ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის მიზეზები და რატომ არ გსურთ თქვენს სამშობლოში დაბრუნება.
თქვენ უნდა დაესწროთ პირად გასაუბრებას და დროულად მიხვიდეთ მასზე. თუ პირად გასაუბრებაზე სერიოზული და დასაბუთებული მიზეზის გარეშე არ გამოცხადდებით, თქვენი განაცხადი გაუქმებულად ჩაითვლება და თქვენი საქმე აღარ განიხილება. თუ გასაუბრების დროს კითხვებზე პასუხის გაცემაზე სერიოზული მიზეზის გარეშე უარს იტყვით, თქვენი განაცხადი ასევე გაუქმებულად ჩაითვლება.

თითოეული ზრდასრული განმცხადებელი ცალ-ცალკე გაივლის გასაუბრებას.

თქვენს შვილებს მიეცემათ გასაუბრების ჩატარების შესაძლებლობა.

პირადი გასაუბრების შემდეგ, თქვენი განაცხადი შეფასდება. უფლებამოსილი ორგანოები გადაწყვეტენ, მიიღებთ თუ არა საერთაშორისო დაცვას.

გამონაკლის შემთხვევებში, პირადი გასაუბრება შეიძლება არ ჩატარდეს. უფლებამოსილი ორგანოები შეგატყობინებენ, გეხებათ თუ არა ეს თქვენ.

სამედიცინო შემოწმება

ხელისუფლებამ შეიძლება მოგთხოვოთ სამედიცინო შემოწმების ჩატარება წარსულში დევნის ან სერიოზული ზიანის ნიშნების დასადგენად. შემოწმება უფასოა და თქვენ თანხმობის მიცემა მოგეთხოვებათ.

გამოკვლევის შედეგების შესახებ გეცნობებათ, რაც თქვენი განაცხადის შეფასებისას იქნება გათვალისწინებული.
თუ უფლებამოსილი ორგანოები არ მოითხოვენ შემოწმებას, შეგიძლიათ მოითხოვოთ შემოწმება საკუთარი ხარჯებით.

როგორ მოგეწოდებათ გადაწყვეტილება თქვენს საერთაშორისო დაცვის შესახებ განაცხადთან დაკავშირებით?

წერილობითი გადაწყვეტილება გამოგეგზავნებათ ფოსტით / გამოგეგზავნებათ ელექტრონულად / გადმოგეცემათ პირდაპირ თქვენ ან თქვენს იურიდიულ მრჩეველს, თუ ასეთი გყავთ. გადაწყვეტილების შედეგის შესახებ გაცნობებთ თქვენთვის გასაგებ ენაზე.

თუ გადაწყვეტილება უარყოფითია, მიზეზები ახსნილი იქნება გადაწყვეტილებაში და თქვენ მოგეცემათ გადაწყვეტილება თქვენს ქვეყანაში დაბრუნების შესახებ.

გასაჩივრების შესაძლებლობა

თუ გადაწყვეტილებას არ ეთანხმებით, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ის. ეს ნიშნავს, რომ სასამართლო გადახედავს გადაწყვეტილებას. სასამართლოზე საჩივრის შესატანად შეგიძლიათ მოითხოვოთ უფასო იურიდიული მომსახურება.

თავშესაფრის სასაზღვრო პროცედურის დროს, თქვენ არ გაქვთ უფლება, დარჩეთ ქვეყანაში სააპელაციო პროცედურის განმავლობაში, თუ სასამართლო არ მოგცემთ ამის ნებართვას.

შეგიძლიათ მოითხოვოთ დარჩენის ნებართვა გასაჩივრების პროცედურის განმავლობაში.

თქვენ უნდა წარადგინოთ თქვენი საჩივარი და დარჩენის მოთხოვნა გადაწყვეტილებაში მითითებულ კონკრეტულ ვადაში. უარყოფითი გადაწყვეტილების ჩაბარების შემთხვევაში, ამის შესახებ უფრო დეტალურ ინფორმაციას მიიღებთ.

თუ სხვა მიზეზების გამო არ გაქვთ დარჩენის უფლება, თქვენ უნდა დატოვოთ იტალია მითითებული თარიღისთვის. თუ ნებაყოფლობით არ დატოვებთ ქვეყანას, შესაძლოა, იძულებით დაგაბრუნონ.

რა უფლებები გაქვთ?

თქვენ გაქვთ უფლება მიიღოთ მიღების მხარდაჭერა და სერვისები საერთაშორისო დაცვის შესახებ თქვენს განაცხადთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების მოლოდინში

როგორც განმცხადებელს, პრინციპში, თქვენ გაქვთ უფლება:

- დარჩეთ თქვენი განაცხადის განხილვაზე პასუხისმგებელ ქვეყანაში, საზღვარზე განკუთვნილ ადგილას, განხილვის დასრულებამდე და
- მიიღოთ მიღების მხარდაჭერა და სერვისები.

ინფორმაცია მიღების მხარდაჭერისა და სერვისების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ცალკე ბროშურაში.

თქვენ გაქვთ უფლება გყავდეთ თარჯიმანი

თუ არ ლაპარაკობთ იტალიურ ენაზე, თარჯიმანი დაგეხმარებათ უფლებამოსილ ორგანოებთან კომუნიკაციაში რეგისტრაციისა და განაცხადის წარდგენის დროს, ასევე პირადი გასაუბრებისას. თარჯიმნის მომსახურება უფასოა.

თარჯიმანი ნეიტრალურია, რაც იმას ნიშნავს, რომ ის არავის არ უჭერს მხარს. ის პატივს სცემს კონფიდენციალურობას და თქვენ მიერ ნათქვამს უფლებამოსილი ორგანოების გარეთ არავის არ გაუზიარებს.

თარჯიმანს არ აქვს გავლენა თქვენი განაცხადის შესახებ გადაწყვეტილებაზე.

დაუყოვნებლივ აცნობეთ უფლებამოსილ ორგანოს, თუ არ გესმით თარჯიმნის ნათქვამი ან ფიქრობთ, რომ თარჯიმანი არ არის ნეიტრალური.

შეგიძლიათ მოითხოვოთ კაცი ან ქალი თარჯიმანი და გამსაუბრებელი თქვენთან პირადი გასაუბრების დროს, თუ ეს დაგეხმარებათ, უკეთ გადმოსცეთ სათქმელი

თქვენი მიზეზებიდან გამომდინარე და ხელმისაწვდომობის არსებობის შემთხვევაში, თქვენი მოთხოვნა დაკმაყოფილდება.

შეგიძლიათ მიიღოთ იურიდიული მრჩევლის (ადვოკატის) კონსულტაცია

იურიდიული მრჩეველი არის პირი, რომელიც გთავაზობთ პირად იურიდიულ დახმარებას ან წარმომადგენლობას უფლებამოსილ ორგანოებთან ურთიერთობისას. იურიდიული მრჩეველი დამოუკიდებელია ხელისუფლებისგან და იცავს თქვენს ინტერესებს. იურიდიულ მრჩეველს შეუძლია დაგეხმაროთ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნაში, თავშესაფრის მიღების პროცედურაში, ოფიციალურ კომუნიკაციაში და მას შეუძლია თქვენთან დარჩეს პირადი გასაუბრების დროს.

თქვენი უფლებაა, გაიაროთ კონსულტაცია ადვოკატთან, თავშესაფრის მიღების პროცედურის ნებისმიერ ეტაპზე თქვენი ხარჯებით.

თუ არ გაქვთ იურიდიული წარმომადგენლობის ხარჯების დაფარვის რესურსები **შეგიძლიათ მოითხოვოთ უფასო იურიდიული მომსახურება სასამართლოზე საჩივრის შეტანის დროს/ განაცხადის რეგისტრაციის შემდგომ დაგენიშნებათ იურიდიული** დამცველი რომელიც მოგემსახურებათ უფასოდ.

თუ კონკრეტულ იურიდიულ მრჩეველს ანიჭებთ უპირატესობას, რაც შეიძლება მალე გაუზიარეთ მისი საკონტაქტო ინფორმაცია უფლებამოსილ ორგანოებს.

გაუზიარეთ თქვენი იურიდიული მრჩევლის დეტალები უფლებამოსილ ორგანოებს, რათა მათ შეძლონ მისთვის თქვენი განაცხადის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

თქვენ გაქვთ უფლება იყოთ ინფორმირებული და მოითხოვოთ უფასო იურიდიული კონსულტაცია

თავშესაფრის მიღების პროცედურის დროს შეგიძლიათ მოითხოვოთ უფასო იურიდიული კონსულტაცია. ეს მოიცავს იურიდიულ კონსულტაციას, რომელიც დაგეხმარებათ განაცხადის წარდგენაში.

იურიდიული კონსულტაცია ნიშნავს, რომ თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ განმარტებები შემდეგ საკითხებზე:

- თქვენი უფლებები და ვალდებულებები
- სხვადასხვა პროცედურები
- იურიდიული საკითხები.

შეგიძლიათ მოითხოვოთ ინფორმაცია და იურიდიული კონსულტაცია იმ თავშესაფრის ცენტრში სადაც იმყოფები.

შეგიძლიათ დაუკავშირდეთ გაეროს ლტოლვილთა სააგენტოს (UNHCR) ან სხვა ორგანიზაციებს

შეგიძლიათ დაუკავშირდეთ და იქონიოთ კომუნიკაცია UNHCR-თან ან მათ პარტნიორ ორგანიზაციებთან თავშესაფრის მოთხოვნის პროცედურის ნებისმიერ ეტაპზე.

UNHCR იცავს თავშესაფრის მაძიებლებისა და ლტოლვილი პირების ინტერესებსა და უფლებებს. UNHCR-ი ან მისი პარტნიორი ორგანიზაციები ასევე აწვდიან ინფორმაციას და დახმარებას თავშესაფრის მაძიებლებს.

UNHCR-ის საკონტაქტო ინფორმაცია თავშესაფრის მიღების პროცედურის შესახებ შეგიძლიათ მოიძიოთ UNHCR-ის ვებგვერდზე https://help.unhcr.org/.

[...]-მ ასევე, შესაძლოა, უფასოდ მოგაწოდოთ ინფორმაცია და დახმარება.

ასევე შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ნებისმიერ სხვა ორგანიზაციას, რომელიც განმცხადებლებს იურიდიულ კონსულტაციას ან სხვა სახის კონსულტაციას უწევს.

რა ვალდებულებები გეკისრებათ?

დაიცვათ ამ ქვეყნის კანონები

დარჩეთ იმ ქვეყანაში, სადაც საერთაშორისო დაცვა მოითხოვეთ

არ შეეცადოთ სხვა ევროკავშირი+ ქვეყანაში გადასვლას.
არ დატოვოთ ის კონკრეტული ადგილი, სადაც გითხრეს, რომ უნდა ცხოვრობდეთ.
სხვა ევროკავშირი+ ქვეყანაში გამგზავრების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში გაქვთ, თუ ამის ნებართვას უფლებამოსილი ორგანოები მოგცემენ.

უზრუნველყავით, რომ უფლებამოსილ ორგანოებს შეუძლია თქვენთან დაკავშირება და რომ თქვენ დანიშნულ შეხვედრებზე ცხადდებით

თქვენ პირადად უნდა დაესწროთ ყველა შეხვედრას, როდესაც ამას ხელისუფლება მოითხოვს. დროულად უნდა მიხვიდეთ ამ შეხვედრებზე. თუ სერიოზული მიზეზის გამო ვერ ახერხებთ შეხვედრაზე დასწრებას, დაუყოვნებლივ აცნობეთ ამის შესახებ უფლებამოსილ ორგანოებს და აუხსენით მიზეზი.

სრულად ითანამშრომლოთ უფლებამოსილ ორგანოებთან

მოთხოვნის შემთხვევაში, თქვენ უნდა გააკეთოთ შემდეგი.

- მიაწოდოთ თქვენი პირადი დეტალები.

- მიაწოდოთ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები. თუ არ გაქვთ ისინი, განმარტეთ, თუ რატომ.

- ჩააბაროთ თითის ანაბეჭდები და გადაიღოთ ფოტო.

- წარადგინოთ თქვენი განაცხადი დანიშნულ დროსა და ადგილას.
- დაესწროთ პირად გასაუბრებას და უპასუხოთ კითხვებს გასაუბრების დროს.

- დაეთანხმოთ გაჩხრეკას და თქვენი ნივთების შემოწმებას, თუ ამას უსაფრთხოების სამსახურის უფლებამოსილი ორგანო მოითხოვს. ჩხრეკა მხოლოდ საჭიროების მიხედვით და დასაბუთებულ შემთხვევაში ჩატარდება. უფლებამოსილი ორგანო განმარტავს ჩხრეკის მიზეზებს. ჩხრეკას ჩაატარებს თქვენივე სქესის პირი და ის განხორციელდება თქვენი ღირსების დაცვით.

თქვათ სიმართლე

თქვენ მიერ მიწოდებული ინფორმაცია მოქმედებს თქვენი განაცხადის დამაჯერებლობაზე. ამიტომ, მნიშვნელოვანია, იყოთ გულწრფელი და მიაწოდოთ სრული და ზუსტი ინფორმაცია თქვენი პირადობის, თქვენი ოჯახის, წარმოშობის ქვეყნის, მშობლიური ქვეყნიდან წამოსვლის მიზეზებისა და იმის შესახებ, თუ რატომ ვერ ბრუნდებით უკან.

შეიძლება ყველაფერი არ გახსოვდეთ, ამიტომ ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა ვერ შეძლოთ. ამ შემთხვევაში, ნუ მოიგონებთ პასუხებს, არამედ განმარტეთ, რომ არ გახსოვთ.

მიუთითეთ სწორი საკონტაქტო ინფორმაცია და იყავით ხელმისაწვდომი

უფლებამოსილ ორგანოებს უნდა შეეძლოთ თქვენთან დაკავშირება თქვენი საერთაშორისო დაცვის განაცხადთან დაკავშირებით.

თუ თქვენი მისამართი, ელფოსტა ან ტელეფონის ნომერი შეიცვალა, დაუყოვნებლივ აცნობეთ ამის შესახებ შესაბამის ორგანოებს.

წარუდგინეთ ყველა ინფორმაცია და დოკუმენტი, რომელიც მხარს უჭერს თქვენს განაცხადს უსაფრთხოების სამსახურს და საერთაშორისო დაცვის მოთხოვნაზე პასუხისმგებელ ორგანოს ტერიტორიულ კომისიას.

თუ თქვენ გაქვთ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ისინი რაც შეიძლება მალე უნდა წარადგინოთ.

თქვენ უნდა წარმოადგინოთ ნებისმიერი სხვა ინფორმაცია და დოკუმენტი, რომელიც შეიძლება დაეხმაროს უფლებამოსილ ორგანოებს თქვენი განაცხადის განხილვაზე პასუხისმგებელი ქვეყნის დადგენაში ან თქვენი განაცხადის განხილვაში. ეს დოკუმენტები შეიძლება იყოს, მაგალითად, პასპორტი, ქორწინების მოწმობა, ოჯახის წიგნაკი, სამხედრო პირადობის მოწმობა, დასაქმების დამადასტურებელი დოკუმენტი, პოლიტიკური პარტიის წევრობის მოწმობა, ცნობები, სასამართლო და პოლიციის ოქმები, ფოტოები და სამედიცინო ან ფსიქოლოგიური დოკუმენტაცია.

თქვენ არ მოგეთხოვებათ ისეთი დოკუმენტების მიწოდება, რომელიც შეიცავს ზოგად ცნობებს თქვენი ქვეყნის შესახებ. თავშესაფრის ორგანოებისთვის ცნობილია თქვენს ქვეყანაში არსებული ზოგადი სიტუაცია.

განაცხადის წარდგენისას, თქვენ უნდა წარადგინოთ ყველა ინფორმაცია და დოკუმენტი რაც შეიძლება მალე. თუ დოკუმენტები დაუყოვნებლივ არ გაქვთ ხელთ, ისინი უნდა წარადგინოთ როგორც კი გექნებათ ამისი საშუალება, თქვენთან პირადი გასაუბრების დროს / კომისიის გადაწყვეტილების მოლოდინში შესაბამისი საშუალებით (ფოსტით /პირადად/ ელექტრონული ფოსტით / მითითებული და მოთხოვნილი დროის განმავლობაში.

აუცილებელია დოკუმენტების დედნების მიწოდება, სადაც შესაძლებელია. არ გაანადგუროთ ან გადააგდოთ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები. არ დამალოთ მნიშვნელოვანი დოკუმენტები. არასდროს წარადგინოთ ყალბი ან გაყალბებული დოკუმენტი.

თუ შესაძლებელია და იმ შემთხვევაში, როცა ეს რისკს არ ქმნის, სთხოვეთ თქვენს მეგობრებს ან ნათესავებს, გამოგიგზავნონ თქვენი დოკუმენტები.

რა შედეგები დადგება, თუ თქვენს ვალდებულებებს არ შეასრულებთ?

თქვენი თავშესაფრის მიღების პროცედურა შეჩერდება

ეს მოხდება, თუ უარს იტყვით შემდეგზე:

- მიაწოდოთ ინფორმაცია, როდესაც ეს მოთხოვნილია
- ჩააბაროთ თითის ანაბეჭდები ან გადაიღოთ ფოტო
- მიაწოდოთ თქვენი მისამართი
- უპასუხოთ კითხვებზე თქვენთან პირადი გასაუბრების დროს.

ეს ასევე მოხდება, თუ თქვენ:

- არ წარადგენთ განაცხადს დადგენილ ვადაში სერიოზული მიზეზის გარეშე
- არ დაესწრებით პირად გასაუბრებას სერიოზული მიზეზის გარეშე
- არ გამოცხადდებით უფლებამოსილ ორგანოებში, როდესაც ეს მოთხოვნილია
- არ დარჩებით იმ ადგილას, სადაც ვალდებული ხართ დარჩეთ
- ვერ დაგიკავშირდებიან უფლებამოსილი ორგანოები
- დატოვებთ ქვეყანას.

თქვენი განაცხადი ჩაითვლება **გაუქმებულად ან უარყოფილად**. ეს ნიშნავს, რომ თქვენ შეიძლება დაკარგოთ საერთაშორისო დაცვის შესახებ განმცხადებლის სტატუსი და ყველა მასთან დაკავშირებული უფლება.

ასევე შეგიძლიათ გადაწყვიტოთ თქვენი განაცხადის გამოტანა თავშესაფრის მიღების პროცედურის ნებისმიერ დროს, მაგალითად, იმიტომ, რომ გადაწყვიტეთ თქვენს ქვეყანაში დაბრუნება. ამ შემთხვევაში, თქვენ დაკარგავთ საერთაშორისო დაცვის შესახებ განმცხადებლის სტატუსს.

შესაძლოა, მიღების მხარდაჭერის ზოგიერთი ტიპი და ზოგიერთი სერვისი შემცირდეს ან გაუქმდეს

ზოგიერთ გარემოებაში, პრეფექტურამ შეიძლება გადაწყვიტოს მხარდაჭერის ან ზოგიერთი სერვისის შემცირება ან გაუქმება. უფლებამოსილი ორგანოები ასეთი გადაწყვეტილების შესახებ წერილობით გაცნობებენ თქვენი სიტუაციის შეფასების შემდეგ.

დამატებითი ინფორმაციის მოძიება შეგიძლიათ ცალკე ბროშურაში ცალკე ბროშურაში «უფლებები და ვალდებულებები თავშესაფრის მოთხოვნის ცენტრებში».

შესაძლო უარყოფითი გავლენა თქვენს განაცხადზე

თუ შეცდომაში შემყვან ან ცრუ ინფორმაციას მიაწოდებთ თქვენი ვინაობის ან განაცხადის შესახებ ან თუ დოკუმენტებს გაანადგურებთ, ან გააყალბებთ, ეს შეიძლება უარყოფითად აისახოს თქვენი განაცხადის განხილვის პროცესზე. თქვენი განაცხადი შეიძლება უარყოფილი იყოს და შესაძლოა, საერთაშორისო დაცვა ვერ მიიღოთ.

გარდა ამისა, საერთაშორისო დაცვა შეიძლება ჩამოგერთვათ, თუ უფლებამოსილი ორგანოები მოგვიანებით შეიტყობენ, რომ თავშესაფრის მიღების პროცედურის დროს სრული სიმართლე არ შეატყობინეთ.

თქვენ მიიღებთ სპეციალურ მხარდაჭერას, თუ ეს გჭირდებათ

თუ რაიმე განსაკუთრებული მხარდაჭერა გჭირდებათ, რაც შეიძლება მალე უნდა აცნობოთ უფლებამოსილ ორგანოს. ეს საჭიროებები შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა სიტუაციიდან, როგორიცაა ორსულობა, ავადმყოფობა ან ფსიქოლოგიური, ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის გამოცდილება.

უფლებამოსილი ორგანოები შეაფასებენ თქვენს სიტუაციას და შესაძლოა, დამატებითი მხარდაჭერა გაგიწიონ თავშესაფრის მიღების პროცედურაში თქვენი მონაწილეობის გასაადვილებლად. მაგალითად, მათ შეიძლება თქვენს საქმეზე სპეციალიზებული პერსონალი დანიშნონ ან თავშესაფრის მიღების პროცედურის ხანგრძლივობა შეცვალონ.

რა ხდება, თუ გსურთ მშობლიურ ქვეყანაში დაბრუნება?

თავშესაფრის მიღების პროცედურის ნებისმიერ დროს, თქვენ შეგიძლიათ გადაწყვიტოთ ნებაყოფლობით დაბრუნდეთ:

- თქვენს ქვეყანაში ან
- ტრანზიტის ქვეყანაში ან სხვა მესამე ქვეყანაში, თუ ამის უფლება გაქვთ.

თუ გადაწყვეტთ ნებაყოფლობით დაბრუნებას, თქვენი თავშესაფრის პროცედურა შეჩერდება ან უარყოფილი იქნება და თქვენ აღარ გექნებათ იტალიაში დარჩენის უფლება.

თუ ნებაყოფლობით დაბრუნება გსურთ, დაუკავშირდით თავშესაფრის ცენტრის პასუხისმგებელ პირს, ან შესაბამის საიმიგრაციო ორგანოს. შეიძლება მიიღოთ კონსულტაცია, ასევე დახმარება თქვენი უსაფრთხო და კანონიერი დაბრუნებისთვის.

ინფორმაციის მიღების დადასტურება

ოფიციალური პირი მოგთხოვთ დაადასტუროთ, რომ მიიღეთ ეს ინფორმაცია.

თუ რამე ვერ გაიგეთ ან დამატებითი კითხვები გაგიჩნდათ, ყოველთვის შეგიძლიათ იკითხოთ.

ეს ბუკლეტი შექმნილია მხოლოდ ინფორმაციის მისაწოდებლად. ის თავისთავად არ ქმნის უფლებებს ან ვალდებულებებს. ევროპის კავშირისთვის თავშესაფრის სააგენტომ (EUAA) მიაწოდა ამ მასალის ძირითადი ნაწილი, და ამ ბუკლეტის გამოცემა ან შეცვლა ნებადართულია მხოლოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის EUAA-ის მიერ. EUAA არ იღებს პასუხისმგებლობას ამ ბუკლეტში ევროკავშირის წევრი ქვეყნების ან სხვა პასუხისმგებელი მესამე მხარის მიერ შეტანილი ინფორმაციის სიზუსტეზე, შინაარსზე, სრულყოფილებაზე, კანონიერებასა თუ სანდოობაზე. არც EUAA და არც პირი, რომელიც EUAA-ის სახელით მოქმედებს, არ არის პასუხისმგებელი ამ ბუკლეტში მოცემული ინფორმაციის შესაძლო გამოყენებაზე.

© ევროკავშირის თავშესაფრის სააგენტო, 2025

Publications Office of the European Union

ISBN 000-00-00-00000-0
doi: 00.0000/0000000
AA-00-00-000-KA-C